ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5800041

ნომერი: AR1877257

თარიღი : 09.02.2022

გაცემის თარიღი : 11.02.2022

გაცნობის თარიღი : 11.02.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , (ყოფ. კრონშტანტის) , N 69;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ კოხრეიძე პ/ნ 61003002356
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 17"ა" ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილათქვენს მიერელექტრონულად ატვირთულიდოკუმენტაცია დაგაცნობებთ შემდეგს:
„ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლისიურიდიული პირის– ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულებისდამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანიამის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯაროხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულებისმე-3 მუხლისმე-2 პუნქტის”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავისფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნითუფლება აქვსგანიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთაშეთანხმება.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქის შუალედურ ზონაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევაშენობა-ნაგებობებს და მათზეგანთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურმხარეს, სამსახურის შესაძლებლად არმიაჩნია აღნიშნულტერიტორიაზე მსგავსიგააბრიტების სარეკლამოკონსტრუქციის განთავსება.
არსებულიშენობა, ახლად აშენებული, გარკვეულწილად ჩამოყალიბებული იერსახის მატარებელია და წარმოადგენს ერთმთლიან არქიტექტურულ ელემენტს, მისი ვიზუალიზაციის ცვლილებაკი წარმოდგენილი სახით მიუღებელია. სამსახური ვერ დაუშვებს პრეცედენტსთქვენი კონკრეტული შემთხვევისათვის გასცეს რაიმე სახის ნებართვა და თვლის, რომაღნიშნულის განხორციელება არ უნდა იქნასსხვა მობინადრეებისათვის სამაგალითო, რათა არ იქნასერთეული სახით შენობის ფასადის გაუარესება, აღნიშნული გარემოების გამო სამსახური მოკლებულიაშესაძლებლობას დააკმაროფილოს თქვენი მოთხოვნა.
აღნიშნულიდან გამომდინარე, 2022 წლის 09 თებერვლის №AR1877257 განაცხადი ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.